

ფსიქოლოგის საათში, რომელიც ტარდება V-VIII კლასებში, შეფასების რუბრიკების გათვალისწინებით კეთდება შეფასება „ჩაეთვალა“ ან „არ ჩაეთვალა“.

აქტივობები, რომელშიც ფასდება მოსწავლე	სუსტი (ვერ გაართვა თავი)	საშუალო	კარგი
საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის აქტიურობა, მოსმენის კულტურა, ეთიკური ნორმების დაცვა	პასიურია, არ არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში; ყურადღება გაფანტულია, არ უსმენს მოსაუბრეს; არ იცავს ეთიკურ ნორმებს	გაკვეთილში ჩართულია ნაწილობრივ, უჭირს ყურადღების კონცენტრირება, იშვიათად უსმენს მოსაუბრეს; ვერ იცავს ეთიკის ნორმებს	გაკვეთილზე აქტიურია, უსმენს მოსაუბრეს, ამჟღავნებს ინტერესს საგაკვეთილო პროცესისადმი; იცავს ეთიკურ ნორმებს
ინფორმაციის შეჯამების უნარი, ჯგუფში მუშაობა, თანამშრომლობა	ვერ აჯამებს მოსმენილ ინფორმაციას; ჯგუფში მუშაობისას პასიურია, ან ამჟღავნებს აგრასიას, არ თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან	ნაწილობრივ ახერხებს შეჯამოს საჭირო ინფორმაცია; ჯგუფის მუშაობაში ზოგჯერ შეაქვს წვლილი, გამოხატავს ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობის ინტერესს	კარგად ახერხებს შეჯამოს წაკითხული ინფორმაცია; ჯგუფის მუშაობაში შეაქვს წვლილი, თანამშრომლობს ჯგუფის სხვა წევრებთან, აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა ჯგუფური სამუშაოს მიმართ
როლურ თმაშებში და სიტუაციურ ამოცანებში მონაწილეობა	პასიურია, არ ამჟღავნებს როლურ თმაშებსა და სიტუაციური ამოცანების განხილვაში მონაწილეობის სურვილს	ცდილობს მიიღოს მონაწილეობა როლურ თმაშებში და სიტუაციური ამოცანების განხილვაში, თუმცა უჭირს საკუთრი აზრის დაფიქსირება და არგუმენტირება	აქტიურად არის ჩართული როლურ თმაშებში და სიტუაციური ამოცანების განხილვის პროცესში; შესწევს უნარი სათანადო დონეზე განასახიეროს მიკუთვნებული როლი და გამოამჟღავნოს საჭირო შემოქმედებითი უნარი

<p>დისკუსიაში, დებატებში მონაწილეობა, კითხვების დასმა და დასმულ კითხვებზე პასუხი, კამათის წესების დაცვა</p>	<p>არ მონაწილეობს დისკუსიებსა და დებატებში, ან დასმული კითხვები არამიზნობრივი და უშინაარსოა; არ იცავს კამათის წესებს</p>	<p>მონაწილეობს დისკუსიასა და დებატებში; დასმული კითხვები ზოგჯერ არამიზნობრივი და უშინაარსოა; ყოველთვის ვერ ახერხებს კამათის წესების დაცვას</p>	<p>მონაწილეობს დისკუსიასა და დებატებში; სვავს კითხვებს, ითხოვს განმარტებებს; დასმული კითხვები მიზნობრივი და შინაარსიანია; პასუხობს კითხვებზე დასაბუთებულად, იცავს კამათის წესებს</p>
<p>მსჯელობა- დასაბუთება, არგუმენტირება, დროის ლიმიტის მართვა</p>	<p>ვერ აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას, ან უჭირს მათი გამყარება ფაქტებითა და არგუმენტებით. ვერ ახერხებს წინადადებების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებას და დროის ლიმიტის დაცვას</p>	<p>ახერხებს საკუთარი მოსაზრების გამყარებას მწირი ფაქტებითა და არგუმენტებით; ნაწილობრივ ახერხებს მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სწორი დასკვნების გამოტანას.</p>	<p>ახერხებს საკუთარი მოსაზრების გამყარებას ფაქტებითა და არგუმენტებით; მსჯელობს გარკვევით და ამომწურავად, მეტყველებს თანამიმდევრულად, წინადადებებს ლოგიკურად უკავშირებს ერთმანეთს, იცავს დროის ლიმიტს.</p>
<p>კომუნიკაცია</p>	<p>უჭირს აუდიტორისთან კონტაქტი, აზრის გამოთქმისას იყურება ერთი მიმართულებით, საუბრობს ხმადაბლა და გაურკვეველად; საკავშირებო პროცესში თნატოლებთან ურთიერთობისას (ჯგუფური და წყვილებში მუშაობა) უჭირს აქტიური მოსმენა, ემოციების მართვა.</p>	<p>ნაწილობრივ აქვს განვითარებული აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარი; ზოგჯერ ახერხებს კონტაქტის დამყარებას, მაგრამ უჭირს მსმენელის დაინტერესება, რადგან მის ხმაში და ინტონაციაში იგრძნობა საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებლობა.</p>	<p>მსჯელობისას აუდიტორიას თვდაჯერებულად მიმართავს, ამყარებს თვლით კონტაქტს, ხმა და ინტონაცია დამაჯერებელია; თნატოლებთან მუშაობის (წყვილები და ჯგუფური მუშაობა) პროცესში გამოხატავს ემპათიურობის, დათმობის, აქტიური მოსმენის და ემოციების მართვის უნარს.</p>